ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1746397

ნომერი: AR1280501

თარიღი : 26.01.2015

გაცემის თარიღი : 23.02.2015

გაცნობის თარიღი : 24.02.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დელისი , N9-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N7/58) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გივი გოგრიჭიანი პ/ნ 60003000511
- ქ.თბილისი. თ.ერისთავის #3/90

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

2015 წლის 26 იანვრის AR1280501 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მოქალაქე გივი გოგრიჭიანმა და მოითხოვა ქ. თბილისში, დელისის ქ. #9–ის მიმდებარედ (ნაკვეთი #7/58) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.10.15.007.058) სასტუმროს განთავსებისმიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა.

საკითხი განიხილა „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიამ". «ზონალური» კომისიის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე, სასტუმროს განთავსების მიზნით ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას და ქალაქთმშენებლობითი პირობებში ცვლილების შეტანას. "ზონალური კომისიის" 2015 წლის 12 თებერვლის სხდომის ოქმი #6–ის რეკომენდაციის და სამსახურის გადაწყვეტილების შესაბამისად,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქალაქე გივი გოგრიჭიანს ქ. თბილისში, დელისის ქ. #9–ის მიმდებარედ (ნაკვეთი #7/58) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.10.15.007.058) სასტუმროს განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.